# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 591

დამატების № 106

კვირა, 5 ივნისი 1916 წ.


2804



**მესტვირე**, ნახატი ასატუროვისა.

## პავლე ბერი

**(სასულიერო თქმულება)**

იწვის უდაბნო დავით გარესჯის,
ხრიოკ მინდვრებში ვარვარებს სიცხე,
გული ხალისით აღარას ერჯის
და ჩამომჭკნარა მთლად სიცოცხლის ხე.
ღრმად ჩამარხულა მიწაში წოვი,
კოლო დაწუის სისხლ მომშხამველი
და, მზის სხივთაგან შხამის შემწოვი,
გაგძელებულა მიწაზე გველი...
ჰფეთქს მზე, გამყოფი მწველი ამბორის,
გადახრუკულან მინდვრები გვალვით
და გადახრუკულ მინდორთა შორის
მონასტერი სდგას, დახრილი კრძალვით.
შორს კი, სად მთანი დიან ცისაკენ,
მიიზლაზნება ფიქრებში მტკვარი,
და იმა მტკვრიდან მონასტრისაკენ
მიმოკლაკნული შარა გზა არი.
ხოლო შარაზე გრილად მომბერი,
ცეცხლის დამღვრელი ღია ცის ქვეშა,
სიცოცხლის ნიშნად ჩანს პავლე ბერი,
ვით დედამიწის ტლუ ამოხვნეშა.
დედამიწაში შარა გზის პირად
ქვევრები არის ჩაყოლებული
და იმ ქვევრებში გვალვის დროს ხშირად
წყალია ხოლმე ჩაყენებული.
მიმსვლელნი ტაძრად სალოცავადა
მოიკვლენ ხოლმე წყურვილსა გზაზე,
რო მეტის ლოცვით აღიგზნენ ცადა
ცოდვათა მყოფნი ამ ქვეყანაზე.

—

ცარიელია ქვევრები გზაში:
ვერავინ იდო თავს იგი ვალად,
რო იმა სიცხე-პაპანებაში
იგი ქვევრები აევსო კვალად.
მხოლოდ პავლე ბერს არ ეშინიან
არც სიმშილისა, არცა სიცხისა,
მის შუბლზე ოფლის ხევები დიან:—
იმ ქვევრებს მტკვრიდან წყლით ავსებს ისა.
პურს კი, მიტანილს ბერებისაგან,
მგზავრთათვის სტოვებს ქვევრის პირადა,
ვაჰ თუ იყოსო სიმშილისაგან
ვინმე სიკვდილის შესაწირადა.
ხოლო დაღლილი ლოცვით ისვენებს
და ასე შესთხოვს ღაღადით ღმერთსა:
„ღმერთო, შენი დღე შენს ვალს მიჩვენებს—
გემსახურები შენ ერთად-ერთსა.
ღმერთო, ყოველი ღერი თმა ჩემი,
ყოველი ბეწვი ჩემ სამოსელის
აღმართულია ლოცვად შენდამი,
ვით წმინდა კვამლი აბელის მსხვერპლის.
ღმერთო, მცირედს გთხოვ მე სათხოვარსა:
მომეცი ძალა მე იმოდენი,
რომ გავიგებდე შენს ნაუბარსა,
რომ სულ მახსოვდეს სახელი შენი.
მომეცი ძალა, გამოვისყიდო
წინაპართ ცოდო კეთილ საქმითა,
მათ დასახსნელად კისრად მე ვიდო,
რაც შეცოდვილა დასაბამითა.
ღმერთო, მომეცი მე მოთმინება,
სულ-გრძელობითა ტანჯვები ვჩრდილო,
და მომეც ძალა, რომ ჩემი ნება
შენს წმინდა ნებას დაუმორჩილო“.

—

იწვის უდაბნო დავით გარესჯის,
ხრიოკ მინდვრებში ვარვარებს სიცხე,
გული ხალისით აღარას ერჯის
და ჩამომჭკნარა მთლად სიცოცხლის ხე.
მზე ჰფეთქს, გამყოფი მწველი ამბორის,
გადახრუკულან მინდვრები გვალვით,
და გადახრუკულ მინდორთა შორის



**ნიკოლოზ ბარათაშვილი.**
ა. მრევლიშვილის მიერ დახატული.

მონასტერი სდგას, დახრილი კრძალვით.
მონასტრის ირგვლივ, ფრთა დაშვებულნი,
ნუშის ხეები მოსჩანან ობლად
და ხეების ქვეშ, დამშვიდებულნი,
ბერები სხედან ამბავთა მთხრობლად.
და იგონებენ თვის წინაპარ ძმათ,
ამბავს გარდასულ დღეებისასა,
თუ რაოდენჯერ აწამებდნენ მათ,
ვით წმინდა მსახურთ ქრისტე ღმრთისასა.
„ერთხელ—დაიწყო მოხუცმა ბერმა:
აი აქ, ეხლა მშვიდათ რო ვზივართ,
უსწორ სასჯელით დაგვსაჯა მტერმა,
აღძრულნი ლოცვით უფლისა მიმართ.
დაქანცულები ღვთისადმი ლოცვით
ველოდით ცისკარს აღდგომა ღამეს,
როს სიოს ფრთებმა ღრუბელთ წარხოცვით
ვარსკვლავნი მშვიდათ ააკამკამეს.
დაგვკრა იმედმა სიხარულისამ,
ქრისტე აღსდგაო, აღმოგვხდა ლხენად,
და შორს წაიღო ეს ხმამ ზარისამ
ქვეყნად სიამის მიმოსაფენად.
აღგვეგზნო გული სიხარულითა,
მათზე სანთლები აინთებოდა
და—ვით სანთლები—ლოცვისა თქმითა
გულიცა ცისკენ აღგვეგზნებოდა.
მაგრამ—დიდება გამჩენსა ჩვენსა!—
თურმე რწმენისა საცდელად ჩვენდა,
თათრისა სახით თავისა მჩენსა,
მაღლიდან სიკვდილს გადმოგვაფენდა.
ჩვენი სანთლები ნეტარ ჩახჩახით
უერთდებოდნენ ჩვენსავე გულსა
და, წყვდიადისა შორს გადალახვით,
შორადა ჰფენდნენ წრფელ სიხარულსა.
ეს დაენახა სპარსელთა ჯარსა,
ჯარს გადმოხვეწილს, ქართველთა სამტროს,
და, ჩვენ რო ვცემდით მხიარულ ზარსა,
გარს შემოგვერტყმოდა ის თურმე ამდროს.
„ქრისტე აღსდგაო“ წარმოსთქვა ბერმა
და, როს ვიგრგვინეთ „ჭეშმარიტად“-ა,
შიშის სიგრილე დაგვკრა ჰაერმა
ეშმაკეულის რამ ხითხითადა.
შევკრთით ყველანი და მივხვდით, რომა
თათრისა ჯარი გვეხვია ზღვადა
და შურისგების საზარი წყრომა
თავს დაგვბრუნავდა წისქვილის ქვადა.
თვით ერთი ფეხიც არ გადაიდგა
იქიდან სხვაგან გასაქცევადა,—
ყოველი ისევ ისევე იდგა
უმანკო ლოცვად აღძრული ცადა.
მხოლოდ მე ერთი გავექე მკვლელთა
და თან გამომყვა ორი ყმაწვილი,
ვისთვისც ქვეყანა ძე ხორციელთა
ჯერ კიდევ იყო სულზედან ტკბილი.
მივრბოდი, მაგრამ უეცრივ ჯვარი
დავინახე მე გზის პირად მდგარი,
მან მომაგონა იქ დამარხული
წმინდა მოწამე, სულისთვის მკვდარი.
ჩემში გაიხსნა შიშის ნაკეცი
და შემაყენა უნებურად მე,
ვსთქვი, თუ განგებას რათ გავექეცი,
და ხომ ვიცი, რომ მომასწრობს სადმე?..
იგი ბავშვებიც მომიახლოვდნენ
და მითხრეს, რისთვის გავიქეცითო?
იქ ჩვენი ძმები რჯულისთვის მოკვდნენ,
ჩვენ კი სული ქაჯს გადავეცითო.
მეც ვსთქვი, რა ცისკენ აღვაპყარ ხელი:
ღმერთო, შემინდე და შემეწიე!
და, ღაღადისით ამისა მთქმელი,
იქვე მდგომ ჯვარსა გადავეხვიე.
ვსთქვი: თუ მომკლავენ, ამ ჯვარზე მომკლან,
ჩემ ცოდვიან სულს ის ექმნეს მხსნელად,
ხოლო ბავშვები დაბრუნდნენ უკან
თავის ცოდვების გამოსახსნელად.
გზაში შემოხვდნენ ურჯულონი მათ,
თავები დასჭრეს იმ ნეტარ შვილთა
და მათ თავები წაიღეს ტაძრად
მისამატებლად იქ დახოცილთა.
იმ მოწამეთა თავებს ჩუხჩუხით
გზადაგზა სისხლი ჩამოსდიოდა
და იგი სისხლი უცნაურ შუქით
ღამის წყვდიადში ცეცხლებრ ღვიოდა.
მე კი იმ ჯვარმა გადამარჩინა
იმ წმინდა ამბის კაცთადმი მთქმელად,
რო მკვდართა საფლავს ჩამოეფინა
უკვდავებისა ნათელი მცველად.

—

მტერი წავიდა და მარტოდ-მარტომ
დავმარხე ურიცხვ მლოცავთა გვამნი,
და შემდეგ განვლო კიდევ მრავალ დრომ,
ქარავნებივით გავიდნენ ჟამნი.
წმინდა მოწამეთ ცაში აქებენ,
მარჯვნით უდგანან ზეციურ მამას
და მუნით ღამ ღამ სხივებს აფენენ
თავიანთ გვამთა წმინდა აკლდამას.
ხოლო იმ ყრმათ რო ლასჭრეს თავები,
იმ ნორჩ მოწამეთ ნასისხლარზედა,
გაზაფხულობით მოდის ვარდები
და იშლებიან სხვა და სხვა მზედა.
იმ ადგილს ვარდთა ღელეს ეტყვიან,
სადაც ის ვარდნი იფურჩქნებიან
და იმა წმინდანთ წმინდა ადგილზე
ძე ხორციელნი ლოცვად დგებიან.
ჰოო და, როცა იგი ვარდები
ათასნაირად გაიშლებიან;
როცა ბულბულთა ციური ხმები
გალობით ცისკენ აღიგზნებიან!! “

—

ამ დროს უეცრივ თავისა თავად
ასტეხეს რეკა სამრეკლოს ზართა
და იმ რეკაში ტკბილმომხიბლავად
ისმოდა ბედი სულისთვის მკვდართა.
წამოიშალნენ ბერები ჩქარად,
სამრეკლოსაკენ მიაპყრეს თვალნი.
დიდხანს უმზერდნენ გონმიუმხვდარად,
გაკვირვებულნი და სახე-მკრთალნი.
მაგრამ მოვიდა ვიღაც ვით სიო
და უთხრა ბერებს ხმაშეკრთომითა,
გარდაიცვალა პავლე ბერიო
დასუსტებული უსწორ შრომითა.
— ნეტარება მას! აღმოჰხდა იმათ
და ზეცისაკენ აღაპყრეს ხელი,
ცითაც მოისმა გალობა მშვიდათ:
მან დაიმკვიდრა სასუფეველი!..

მოსკოვი 1916 წ. ი. მჭედლიშვილი.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი დ. [illegible]

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..
ხ. ფაშალიშვილი.

# დავით გარესჯის უდაბნო





ფერისცვალების ეკლესიის ჩუქურთმიანი შესავალი კარები.

## სიყვარულმა გაიმარჯვა...

(ებრაული *)

... ქოლბა საბუა ძლიერ მდიდარი კაცი იყო. დიდი სრა-სასახლე ჰქონდა, დიდი, ვითა მთა. ოქროული ემოსა ტანთა; მის მტილთა შინა იზრდებოდა ნაძვი კეთილსურნელოვანი, ბზა და ჰყვაოდა ვარდი სარონისა.

მაგრამ მის მაღალ სრა-სასახლესა, კეთილ სურნელოვან ნაძვსა და ალისფერს ვარდზე მშვენიერი იყო მისი ასული რახილი, მშვენიერთა მშვენიერი ასულთა შორის ისრაილისა.

ქოლბა საბუოს ფარა ჰყავდა ცხვრისა, რაოდენიცა არს ვარსკვლავი ცაზე. ამ ფარას აძოვებდა ღარიბი ჭაბუკი, მაღალი, ვით ნორჩი ნაძვი, და მკრთალი, სევდის სახიანი, როგორიც აქვს ხოლმე ადამიანს, სული თვისი რომა სურს გაინთავისუფლოს საპყრობილედან და კი არ ძალ-უძს.

ეს ჭაბუკი იოსებ აქიბა იყო და მაღალ მთაზე სცხოვრობდა, სადაც თავის ბატონის ფარას აძოვებდა.

და აი ერთხელ მივიდა მშვენიერი რახილი მამასთან, დაემხო მის წინ პირქვე, სტიროდა ფრიად, ჰკოცნიდა ფეხებზე და მიუბნობდა: მინდა აქიბას გავყვე და იმ ქოხში ვიცხოვრო, მთის თხემზე, სადაც ისა სცხოვრობსო.

ულმობი გულის პატრონი იყო ქოლბა საბუა, გოროზი. დიდი რისხვა დაატეხა თავს ტურფა რახილს და აუკრძალა—ჭაბუკ მწყემსზე ფიქრიც კი აღარ გაიტარო გონებაშიო.

ეურჩა მშვენიერი რახილი მამას და თავიანთ სრა-სასახლიდან გაიქცა. არაფერი წაუღია თან, თვინიერ თავის მაყვლოვან თვალთა, ცრემლისაგან რომა ბრწყინავდნენ, ვით ორი ალმასი დიდი და თვისი გიშერი თმის, შუბლზე რომ წარმოსდგომოდა როგორც დიდი გვირგვინი. წავიდა რახილი მაღალ მთაზე, შევიდა აქიბას ბნელ ქოხში და უთხრა:—აქიბ, აი, ცოლი შენი შემოვალს სახლსა შინა შენსაო.

აქიბას ფრიად გაუხარდა, მოსვარახილის თვალთაგან ალმაზის ცრემლები და შემდგომ სხვა და სხვა რამ მშვენიერებაზე მოუყვა. გონივრული სიტყვანი, ვით თაფლი, გადმოდინდებოდის აქიბას ბაგეთაგან, ხოლო რახილი უსმენდის და აბედნიერებდის, ბოლოს რახილმა მიუბნო:—აქიბ, შენ დიადი ვარსკვლავი შეიქნები და გამოანათებ გზასა ზედა ისრაელისათაო.

ულმობი გულის იყო ქოლბა საბუა, ამპარტავანი. მაღალ მთაზე არაფერი გაუგზავნა თვის ასულს, არცა საჭმელი, არცა სასმელი და სთქვა: დეე იგემოს სიმშილი და იხილოს გაჭირვებაო.

*) ელ. ოჟეშკოს „მეირ ეზოფოვიჩი“დან,



პოდპორ. ვასიკო სევ. კორძაია
დაჯილდ. წმ. სტანის. 3 ხარ. ჯვრით.
(დაავადმყოფებულია)



პრაპორშჩიკი კაპიტონ საყვარელის ძე ასათიანი (შვილებით)
პორუჩიკი აკაკი ასათიანი (მოკლულია) პრაპორშჩიკი გიგო კ—ძე ასათიანი (მძიმედაა დაჭრილი გულში და ხელში).



პრაპ. ალექსანდრე ბეს. ჩიჩუა
(მოკლულია).




გერმანიის ტყვეობაში მყოფ ქართველ ექიმებისაგან მიღებული წერილი.

მშვენიერმა რახილმა იგემა სიმშილი და გაჭირვება იხილა. იყო ჟამი, როცა მას არაფერი გააჩნდა აქიბასთვის ეჭმია. ღრმა ფიქრს მიეცა რახილი, რომ იმისი ქმარი მშიერი იყო.

— არა უშავს რა, რომ მშიერი ვარ!—მიუგნო მას აქიბა და მოუყვა ისევ ბრძნული რამე-რუმე. მაგრამ რახილი წამოდგა, ჩამოირბინა მაღალ მთიდან, მივიდა დაბაში და ღაღად ჰყო: ვინ მომ ცემს, ვინ—ამ ჩემს თმაში ერთ ჩნააზ ლომს!.. მისცეს მას ლომა და მოსჭრეს თმა ალმასზე და მარგალიტზე მშვენიერი.

რახილი დაბრუნდა მთაზე, შევიდა ქოხში და უთხრა:

— აქიბ, ე საჭმელი კი გიშოვე, მაგრამ დამშეულია სული შენი და მის საზრდოს შოვნა არ შემიძლიან! წადი ქვეყნად, და ჰკვებე სული შენი სიბრძნითა დიდითა, ბაგეთაგან მეცნიერთა რომ გადმოსდინდების. მე კი აქ დავრჩები, ჩავჯდები შენი სახლის კარებში, ვართავ მატყლს. ვუგდებ ყურს ცხვარსა და იმ გზისკენ მეჭირება თვალები, საიდანაც დაბრუნდები შენ ოდესმე, ვით მზე, ცაზე რომ ამოდის ღამის წყვდიადის განსაბნევადა!..

აქიბი წავიდა.

მშვენიერი რახილი ქოხს კარებში ჩაჯდა, მატყლის რთვა იწყო და იმ დროზე დაიჭირა თვალი, საიდანაც უნდა აქიბა დაბრუნებულიყო, სიბრძნითა დიდითა გაბრწყინებული.

შვიდი წელიწადი გავიდა. და იყო საღამო, როცა მთვარე ვერცხლის შუქის ზღვას გადმოაფრქვევს დედამიწაზე, ხე და ბალახი კი სდგას მდუმარე, ურხევი, თითქოს მარადის მყოფის სუნთქვამ მოჰბერა და ქვეყნად მოიტანა დუმილი და მშვიდობაო.

აი ამ საღამოს მაღალ მთიდან გადმოვიდა მაღალი, ფერმკრთალი კაცი. მუხლები უკანკალებდა, ვით ფოთოლი, როცა მას ეწვევა ქარი, ხელნი კი ცად აღიპყრობოდნენ. ხოლო როცა პატარა, მწირი ქოხი დაინახა, თვალთაგან უხვად მოსკდა ცრემლი. ეს აქიბა იყო, მშვენიერ რახილის მეუღლე.

აქიბა ქოხის ღია ფანჯარასთან მივიდა და ყური მიუგდო—ვინა ლაპარაკობდა შიგა.

რახილი ელაპარაკებოდა თავის ძმას. მამას რომ გამოეგზავნა მასთან.

— წამოდი, დაბრუნდი შინაო,—ეუბნებოდა ძმა—არა, უპასუხებდა რახილი—აქიბას ველი და იმის სახლს ვუყარაულებო.

— აქიბას იმედს ნულარ გაქვს,—მოუბნობდა ძმა,—ის აღარ დაბრუნდება აღარასდროს! იმან შეგარცხვინა თავი მოგჭრა და მიგატოვა.

— არა,—ეუბნებოდა რახილი,—აქიბას არ დაუნებებია ჩემთვის თავი. მე თვითონ გავგზავნე ის, რომ სიბრძნის წყაროს დასწაფებოდა და იქიდან ესვა.

— ის სიბრძნის წყაროსა სვამს, შენ კი, აქ ცრემლად იღვრები და გაჭირვებისგან ხმება სხეული შენი!..

— დეე ცრემლმა ამომიშრიტოს თვალი და სხეული ჩემი გამოლრღნას გაჭირვებამ. მე ჩემი ქმრის სახლს ვუყარაულებ... და რომ ეხლა წამომდგარიყო ჩემს წინ ის, ვისი სიყვარულიც მე მიღვივის გულში და ეთქვა: რახილ, აი დავბრუნდი უკან, რომ შენ აღარ იტირო, მაგრამ ცოტა დავლიე ჯერ კიდევ სიბრძნის წყაროდანო, ვეტყოდი—წადი და კიდევ სვი მეთქი!..

ფერ-მკრთალმა მწირმა, ფანჯარასთან რომ იდგა, ეს რომ გაიგონა, უფრო გაფითრდა, ძალუმ აფთრთოლდა, განშორდა თავის ქოხს და იქ წავიდა ისევ საიდანაც მოსულიყო.

კიდევ შვიდი წელიწადი გავიდა. და დადგა დღე, როცა მზე უხვად აფრქვევს დედამიწას ოქროს სხივთა ტალღებს, ხეები შრიალებენ, ყვავილნი ჰყვავიან, ფრინველნი ჰგალობენ და ხალხი იცინის თითქოს მარიდის მყოფის სუნთქვამ მოჰბერაო, ქვეყნად რომ მოაქვს სიცოცხლე და სიხარული.

მაღალ მთის კალთაზე, გზაზე, ქვევიდან მაღლა, მწყემსის პატარა ქოხისაკენ რომ მიდიოდა, ხალხის დონდგოს ჟრიამული გაუდიოდა. შუაში მოდიოდა კაცი მაღალი; სახე გაბრწყინვებოდა ვითა მზე, სიბრძნითა დიდითა, ხოლო ბაგედან გადმოსდინდებოდის სიტყვანი ტკბილი, ვითა თაფლი, და სურნელოვანი, ვითა მირონი. ხალხი მის წინ დაბლა იხრიდა ქედს, გაფაციცებული ისმენდა იმის სიტყვებს და სიყვარულით ჰღაღადებდა: რაბი, რაბი!..*)

ხალხის დონდგო როგორც იყო გაარღვია ერთმა ქალმა, მივიდა პირქვე დაეცა დ მასწავლებელს მუხლებზე შემოეჭდო. ხელში თითისტარი ეჭირა, ძონძებში იყო გამოხვეული, სახე ჰქონდა განაწამები, რადგან თოთხმეტი წელიწადი მას გაჭირვება ღრღნიდა, თვალები ღრმად ჩასცვინოდა—თოთხმეტი წელიწადი ცრემლადა დნებოდა.

— ჩამოეცალე, ჩამოეცალე მათხოვარა!—დაუყვირა ხალხმა მას. მაგრამ მოძღვარმა ქალი ზეზე წამოაყენა და გულს მაგრა ჩაიკრა. ის იოსებ აქიბა იყო, ქალი კი იმისი ცოლი რახილი.

— აი წყარო, ჩემს ნაღვლიან გულს რომ იმედს ასმევდა, როცა მე კაეშნიანი და დაუდგრომელ შრომაში სიბრძნის წყაროს ვეწაფებოდი!

უთხრა მოძღვარმა ხალხს და უნდოდა რახილისთვის თავზე დაედგა ოქროს და მარგალიტის გვირგვინი.—რახილ,—უთხრა მან ცოლს,—ოდესღაც შენ მოიჭერი თავზე შენი მშვენიერი თმა, რომ მშიერი გეჭმიე. ეხლა მე დავამშვენებ თავსა შენსა ძვირფასი გვირგვინითა!

მაგრამ რახილმა ხელი დაუჭირა, მიაპყრო თვალნი, მშვენიერი რომ შეიქმნენ კვლავ, ვით ოდესღაც, თოთხმეტი წლის წინ, და უთხრა:

— რაბი, ჩემი გვირგვინია დიდება, დიდება შენი!...

**სანგანიძე.**

## შეცდომის გასწორება.

კვირის დამატებაში № 105 ი. მჭედლიშვილის ლექსში შემდეგი კორექტურული შეცდომებია: პირველი ხანის მეშვიდე სტრიქონში არის „გრძობა“, უნდა იყოს „გრძნობა“. მეორე ხანაში მეორე კუპლეტის პირველი სტიქონი ასეა დაბეჭდილი: ყოვლი ნაბიჯი და ყოველი ესა: უნდა იყოს: ყოვლი ნაბიჯი და ყოველი გზა. ამავე კუპლეტის მესამე სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: მეც ყველაფრისთვის შევქენი გზა... უნდა იყოს: მეც ყველაფრისთვის შევიქენი მზა.

*) რაბი მოძღვარი, მასწავლებელი **ს-გ.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“. რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი“.